ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY
XIII 2021

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედება ფემინისტური კრიტიკის ჭრილში

Barbare Jorjadze's work in the context of feminist criticism

სოფიკო ჭუმბურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Sofiko Chumburidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

ABSTRACT

From the second half of the nineteenth century, like in Europe and America, the issue of women's emancipation began to be actively debated in Georgia. It is noteworthy that during this period women themselves began to fight for their rights, and the turning points in the spiritual realm were reflected in their work in an interesting way; the difficulties and internal contradictions that accompanied the liberation from traditional morality became apparent. Female authors were well aware of the new realities and social challenges that emancipated women faced.

Barbare Jorjadze (1833-1895), an excellent representative of Georgian culture of the nineteenth century, a writer, and public figure, was one of the first fighters for the emancipation of women. Advancing the fight for women's rights also highlighted the problem of the relationship between literature and feminism. Consequently, a feminist critique of literature also emerged.

Feminist critique is interested in the female author and not the female reader. Were the women authors educated? What are the peculiarities of their autobiographical texts? Did they need to use pseudonyms? How was their work perceived and valued in a given society? Male authors mostly wrote about women as mothers and were less interested in their legal status. By the end of the nineteenth and early twentieth centuries, women were already realizing that they had to create their own lives. Women were seen as a group oppressed by men, invoking examples and history from the past to reinforce their arguments and discuss women's condition, and their problems globally.

This article discusses Barbare Jorjadze›s work in the context of feminist critique. Georgian feminist critique of the second half of the nineteenth century would have been inconceivable without the letters of Barbare Jorjadze about the problems of women and their social status. She focused on an unacceptable tradition, the change of which was the main task.

Barbare Jorjadze›s work was an example for Georgian women to defend their rights and take an active part in the public arena. This „home-grown woman", as she was ridiculed by her opponents, portrays the situation of women in Georgia quite well.

Barbare Jorjadze's work and her past life proved that she had never gotten used to the difficult situationfor a woman. She was able to become a notable person of her time through her tireless work and struggle, and her work clearly shows the necessity of the struggle for gender equality and the urgent need in the Georgian life of the second half of the XIX century.

საკვანძო სიტყვები: ფემინიზმი, ქალთა უფლებები, ემანსიპაცია, ბარბარე ჯორჯაძე.

Keywords: Feminism, Women's Rights, Emancipation, Barbare Jorjadze.

ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინ წამოწევამ ლიტერატურისა და ფემინიზმის ურთიერთმიმართების პრობლემაც გამოკვეთა. შესაბამისად, გაჩნდა ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკაც. ზემოხსენებული საკითხი პირველად ინგლისელმა მწერალმა და ფემინისტმა ვირჯინია ვულფმა წამოჭრა 1929 წელს დაწერილ ესეში „საკუთარი ოთახი". აღნიშნული ესე ითვლება ფემინისტური ლიტერატურული კრიტიკის მთავარ ნაშრომად, მას საფუძვლად უდევს ორი ლექცია, რომელიც მწერალმა 1928 წელს ნიუჰემისა და გირტონის კოლეჯებში ჩაატარა. ერთ-ერთი ლექცია შეეხებოდა თემას: ქალი და მხატვრული ლიტერატურა. მან განიხილა ქალთა ისტორიული უნარშეზღუდულობა მრავალ სფეროში, მათ შორის სოციალურ, საგანმანათლებლო და ფინანსურ სფეროებში. ვირჯინია ვულფი ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქალ მწერლებს სჭირდებათ საკუთარი ოთახი საკეტით და ფული, რომ შეძლონ და მამაკაცების მსგავსად განვითარდნენ შემოქმედებითად. ის მთავარ პრობლემად ხედავს კონტრასტს, თუ როგორ არიან იდეალიზებულნი ქალები მამაკაცების მიერ დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში და როგორ ექცევათ მათ პატრიარქალური საზოგადოება რეალურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ვირჯინია ვულფი „საკუთარ ოთახში" წამოჭრის, ეს მწერალ ქალთა სიმცირეა.

მამაკაცი ავტორები ძირითადად წერდნენ ქალებზე, როგორც დედებზე და მათი უფლებრივი მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებდათ.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალები უკვე ხვდებოდნენ, რომ თავად უნდა შეექმნათ თავიანთი ცხოვრება, ქალებს მამაკაცების მიერ ჩაგრულ ჯგუფად მოიაზრებდნენ, წარსულის მაგალითებსა და ისტორიას მოიხმობდნენ, რათა თავიანთი არგუმენტები გაეძლიერებინათ და ქალთა მდგომარეობა, მათი პრობლემები გლობალურ ჭრილში განეხილათ. ამ პროცესში მათ ხელი შეუწყო ქართულ-ევროპული კულტურის დაახლოებამ; ამ პერიოდის ქალი ავტორების შემოქმედებაში საინტერესოდ აისახა სულიერ სფეროში მომხდარი გარდამტეხი ცვლილებები, მკაფიოდ გამოჩნდა ის სირთულეები და შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც ტრადიციული მორალისაგან განთავისუფლებას ახლდა. ქალმა ავტორებმა კარგად დაინახეს ახალი სინამდვილე და სოციალური გამოწვევები, რომელთა წინაშეც ემანსიპირებული ქალები აღმოჩნდნენ.

ქალთა უფლებებისთვის ერთ-ერთი პირველი მებრძოლი გახლდათ ბარბარე ჯორჯაძე. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფემინისტური კრიტიკა წარმოუდგენელია მისი წერილების გარეშე, ქალთა პრობლემებსა და მათ საზოგადოებრივ მდგომარეობას რომ შეეხებოდა. ის ყურადღებას ამახვილებდა მიუღებელ ტრადიციაზე, რომლის შეცვლა მთავარ ამოცანად ესახებოდა. აღსანიშნავია, რომ ბარბარეს პოზიცია პირადული მოტივითაც იყო განპირობებული. ის 12 წლისა გაათხოვეს, როცა, მისივე თქმით, ჯვრისწერა თამაშობა ეგონა.

სხვა ქართველ მოღვაწეთა მსგავსად, ბარბარესაც ქალთა განათლება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიაჩნდა, ის ქართველ მამაკაცებს მიიჩნევს ეგოისტებად, რომელთაც არ სურთ, საკუთარმა დებმა განათლება მიიღონ და მათი თანასწორი გახდნენ. ბარბარე მოუწოდებს ქართველ კაცებს თავი დაანებონ შურიანობას და იზრუნონ ქალთა განათლებაზე, რათა „ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუკი საქმეს არ უშველიან რასმე“ (ჯორჯაძე 1893: 7). როგორც ვხედავთ, ბარბარე ჯორჯაძე აქტიურად მოითხოვდა, რომ ქალისთვის განათლების უფლება მიეცათ.

ბ. ჯორჯაძე საინტერესოდ აღწერს ქართველი ქალის ისტორიულ მდგომარეობას: „პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდნენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდნენ: შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს; ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო“ (ჯორჯაძე 1893: 7). ქალისთვის ჩაკეტილი საზოგადოებრივი სარბიელი და ჩაგრული მდგომარეობა ამით არ სრულდება, რადგან არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში არიან ქალები ოჯახში ქმრების მხრიდან: „მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვით

დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალისჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს, ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა სიტყვებით: მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო“ (ჯორჯაძე 1893: 7). მოხმობილი ციტატა ცხადყოფს, რომ ბარბარე ჯორჯაძემ ზუსტად აღწერა ის მძიმე მდგომარეობა, რასაც ქალები საუკუნეების განმავლობაში უხმოდ იტანდნენ. მამაკაცი ყოველმხრივ ამცირებდა ქალს და ალერსიან სიტყვას მხოლოდ ეგოისტური მოსაზრებით თუ გაიმეტებდა. ბარბარე ჯორჯაძე ქალთა ჩაგრულ მდგომარეობას აღწერს. მთავარ მიზეზად კი განათლების პრობლემას მიიჩნევს. ქალებს არ შეეძლოთ სრულფასოვანი განათლების მიღება და დროის შესაფერისად ცხოვრება, კაცების დარად მოღვაწეობა და საკუთარი ბედის დამოუკიდებლად წარმართვა. აღნიშნული სტატიიდან ირკვევა, რომ ქალები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ დასცინოდნენ, მოიხსენიებდნენ უჭკუოებად, უგულოებად, ფარად იყენებდნენ სარწმუნოებასაც და დედაკაცს ღმერთის მიერ მამაკაცის მსახურად გაჩენილად თვლიდნენ, ქალების დასამცირებლად სიტყვებს არ იშურებდნენ, მწერალი ქალი ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად ბიბლიასაც იმოწმებს და ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ამახვილებს ყურადღებას: „თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას“, – აღშფოთებას ვერ ფარავს ბარბარე ჯორჯაძე ასეთი უთანასწორობისა და უსამართლობის გამო (ჯორჯაძე 1893: 8).

ნათელი ხდება, რომ ქართველი კაცები ყოველმხრივ ცდილობდნენ ქალის ღირსების დამცირებას, უკრძალავდნენ სწავლა-განათლებას, რადგან ისინი ღმერთის მიერ ქალად დაბადებული იყვნენ, მათ არ შეეძლოთ მმართველობა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა.

მოხმობილ სტატიაში ყურადღებას იქცევს ბარბარე ჯორჯაძის ერთი ორიგინალური მოსაზრება იმის შესახებ, რომ განათლებას მოკლებული ქართველი ქალიც კი ახერხებდა შვილების სწორად აღზრდასა და ცხოვრებისეულ საკითხებზე საფუძვლიან მსჯელობას: „საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა, და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?..“ (ჯორჯაძე 1893: 8).

ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობა იყო მაგალითი ქართველი ქალებისათვის დაეცვათ თავიანთი უფლებები და აქტიურად გამო-სულიყვნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს „შინ ზრდილი ქალბატონი“,

როგორც მას დამცინავად მოიხსენიებდნენ მოწინააღმდეგენი, საკმაოდ კარგად გვიხატავს ქალთა მდგომარეობას მაშინდელ საქართველოში. ბარბარე იყო პირველი ქალი, რომელიც თვით ილია ჭავჭავაძესაც კი შეეკამათა (თუმცა მათი პოლემიკა ქალთა მდგომარეობას არ ეხებოდა), ხოლო 1859 წელს ქართული მწერლობის საკითხებთან დაკავშირებით ლავრენტი არდაზიანთანაც ჰქონდა პოლემიკა. ბარბარე ჯორჯაძეს მოწინააღმდეგეებთან ერთად მხარდამჭერებიც ბევრი ჰყავდა ქართულ საზოგადოებაში. დიმიტრი ბაქრაძემ 1860 წელს ისტორიული მიმოხილვა „ქართველი ქალები“ ბარბარე ჯორჯაძის წერილზე საუბრით დაიწყო: „იგი დაწერილია სასიამოვნო საუბრის ენით, აზრები გამოხატულია საღად და აღბეჭდილი ნამდვილის დედობრივის გრძნობით. სჩანს, კნ. ჯორჯაძისა ცნობისმოყვარეა, კითხვაში და მსჯელობაში დახელოვნებული, სამამულო ენისა და სიტყვიერების წარმატება გულითა სურს. არღვევს არდაზიანის კრიტიკას, რომლითაც ვითამც ის აღკრძალავს ლექსების საჭიროებას. თავისის სიტყვის დასამტკიცებლად ბუნებითს წესს იხსენებს, რომელსაც ადამიანში სხვადასხვა ნიჭი დაუნერგია. კნ. ჯორჯაძისა შიშობს, რომ ამგვარმა უსაფუძვლოდა აჩქარებულმა კრიტიკამ ახლად დაწყებული საქმე არ დაამციროს“ (ბაქრაძე 1860: 11). დ. ბაქრაძეს ბარბარე ჯორჯაძის დახასიათებისას ყურადღების მიღმა არ რჩება მისი განსწავლულობა ისტორიითა და საღმრთო წერილებით.

ბარბარე ჯორჯაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის. საყურადღებოა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც მაღალი მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ გამოხატავს გულისტკივილს ქალთა უუფლებო მდგომარეობის გამო. ლექსის ავტორი პირდაპირ მიმართავს მამაკაცებს: ნუ გშურთ ჩვენი, ნუ გვაბრალებთ ბოროტებას, ცბიერად ნუ მოგვიხსენიებთ, ნუ გვწამებთ ცილს, თქვენ არ გაქვთ ჩვენი ნდობა და ამასთანავე, როგორც ნივთი ისე ვართ თქვენს ხელში; შემდეგ მოჰყავს ისტორიული ფაქტები და ახსენებს მამაკაცებს, რომ ქალი იყო ქართველთა გამაქრისტიანებული წმინდა ნინო, საქართველოს გამაერთიანებელი თამარი და ქრისტიანობისა და ქვეყნისთვის წამებული ქეთევანი და თქვენ როგორ შეგიძლიათ, დედა, ცოლი, ასული ასე დაამდაბლოთ, ცდილობთ დაგვამუნჯოთ. მხოლოდ კეკლუცი, ლამაზი ქალის დანახვის დროს ჰკარგავთ ჭკუას. ბარბარე კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ქალი და კაცი თანასწორია, თანასწორად გაუჩენია ღმერთს და ამიტომ ის მოუწოდებს კაცებს:

„მაშ, აღგვზარდეთ ზნითაც კარგად,
რომ ყოველ მხრით სრულნი ვიყოთ“ (ჯორჯაძე 1986: 185).

აღნიშნული ლექსით ბარბარემ ნათლად დაგვანახა ქალთა განცდები და პრობლემები, ამასთანავე, მამაკაცებს დაუსახა გზა, თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ ქალებს, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები რეალურად გახდნენ მეგობრები და თანასწორნი.

ბარბარე ჯორჯაძის აზრით, თუ ქართველი ქალის ყველა ღირსებას განათლებაც ერთოდა, მაშინ მისი „დანიშნულება და საღმრთო ვალი“ (ილია) კიდევ უფრო ფართოვდებოდა, „ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დამცველებად თოფ-იარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი?..“ (ჯორჯაძე 1893: 8). როგორც ვხედავთ, ბარბარე ჯორჯაძე საფუძვლიანად მსჯელობს ქალის როლსა და მის დანიშნულებაზე ქართულ სინამდვილეში.

ბარბარე ჯორჯაძე გამორჩეული იყო იმ მხრივაც, რომ მან, არა მარტო საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოიჩინა თავი და გახდა მისაბაძი ქალი, არამედ ის იყო ბრწყინვალე დიასახლისიც, რასაც ადასტურებს 1874 წელს მის მიერ შედგენილი წიგნი „სრული სამზარეულო“, რომელიც დღესაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას და ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია ჩვენი ქვეყნისა.

ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედება და მისი განვლილი ცხოვრება ადასტურებს, რომ ის არასდროს შეჰგუებია ქალისათვის არსებულ მძიმე ვითარებას, მან შეძლო თავდაუღალავი შრომითა და ბრძოლით თავისი დროის შესამჩნევი პიროვნება გამხდარიყო, მისი შემოქმედება კი ზედმიწევნით აჩვენებს გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის აუცილებლობასა და გადაუდებელ საჭიროებას XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბაქრაძე 1860: ბაქრაძე დ., ქართველი ქალები (ისტორიული მიმოხილვა). ზ.ჭიჭინაძის გამოცემა. ტფილისი, 1860.

ტაბატაძე 2013: ტაბატაძე ე., ქალთა ემანსიპაცია მე-19 საუკუნეში. თბილისი, 2013. https://megobariblogi.wordpress.com/2013/06/21/ დამოწმება: 20.09.2021.

ჯორჯაძე 1986: ჯორჯაძე ბ., ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები. თბილისი, 1986.

კვალი 1893: ჯორჯაძე ბ., ორიოდე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ. გაზეთი „კვალი“, №16, 1893.